

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი №10**

**ქ. გარდაბანი**

**27 ივლისი 2023 წელი 13.სთ 00 წთ.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი:

სამირ ხიალოვი	შახადატ მეხრალიევი
ზაზა ონიანი	ლია მეტრეველი
ვუგარ მამედოვი	კამრან ბაბაევი
სახმან მირზოევი	ლევან ბეგლარიშვილი
ტარიელ ჯანხოთელი	ფლორა ასკაროვა
დავით ებილაშვილი	აბდულალი იბრაგიმოვი
რასიმ ისაევი	ზურაბ კორახაშვილი
თორნიკე ქავთარაძე	აკიფ ისმაილოვი
ზურაბ ბენდელიანი	მადონა გაბროშვილი
თამარ ხაჩიძე	მეითხან მეითხანოვი
მირზა მირზოევი	ლალი კახურაშვილი
ლევან ნიჟარაძე	ნათია ბარათელი
მაია შამედოვა	
ისლამ მამედოვი	

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის  
აპარატის ხელმძღვანელის მოადგილის  
მოვალეობის შემსრულებელი - ნინო დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მეორადი სტრუქტურული ერთეულის  
საორგანიზაციო განყოფილების  
ხელმძღვანელი - დავითი მერაბიშვილი.

## დღის წესრიგი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

*მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე*

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ ზაბიტ მამედოვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

*მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი*

## საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

## დღის წესრიგი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

*მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე*

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ ზაბიტ მამედოვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

*მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი*

კენჭისყრის შედეგები:  
მომხრე – 27  
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

## საკითხი 1

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** და განმარტა, რომ **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“** და განმარტა, რომ **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“** გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება განსახილველი განკარგულების პროექტის მიხედვით და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ ივლისის თვის ხარჯები დანართის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“**.

კენჭისყრის შედეგები:  
მომხრე –27  
წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №70 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

## საკითხი 2.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ ბენდელიანმა, საკრებულოს წევრებს წარუდგინა №21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №01/2023 განკარგულება - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობიდან - რუსტამ ისაევის ნაცვლად ზაბიტ მამედოვის ადგილმონაცვლის ცნობად მიღების შესახებ.

საკრებულოს სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ ზაბიტ მამედოვის უფლებამოსილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ გედეხაური

